სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 600
(ოქმი # 524

თბილისი 2025 წლის 30 მაისი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

1. ცვლილება შევიდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №465 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამეურვეო საბჭოს რეგლამენტში და რეგლამენტის მე-II ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.5.4.1. ქვეპუნქტი:

„3.5.4.1. სამეურვეო საბჭოს ღია სხდომაზე ნებისმიერი დაინტერესებული პირის დასწრება ხორციელდება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების მეშვეობით შემდეგი პროცედურების დაცვით:

- სამეურვეო საბჭოს სხდომის დღის წესრიგის გამოქვეყნების შემდეგ, სხდომამდე სულ მცირე ორი დღით ადრე, დაინტერესებულმა პირმა სამეურვეო საბჭოს ელექტრონულ ფოსტაზე board@1tv.ge უნდა გამოაგზავნოს შეტყობინება სხდომაზე დასწრების სურვილის შესახებ;
- სამეურვეო სბჭოს სხდომაზე დაინტერესებული პირ(-ებ)ის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დასწრებას ტექნიკურად უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოს აპარატი, რომელიც სხდომის დღეს დასწრების მსურველ თოთოეულ დაინტერესებულ პირს უგზავნის სხდომაზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით ჩართვის შესაბამის ლინკს;
- სხდომის დაწყებისთანავე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ სხდომის გახსნის და დღის წესრიგის გამოცხადების შემდგომ, სამეურვეო საბჭოს აპარატის უფროსი ზეპირსიტყვიერად აცნობებს სამეურვეო საბჭოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით დამსწრე პირების, მათი ვინაობის შესახებ, ასევე დღის წესრიგის იმ საკითხების შესახებ, რასთან დაკავშირებითაც დამსწრე დაინტერესებულმა პირ(-ებ)მა გამოხატა აზრის გამოხატვის სურვილი;
- იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი ესწრება სამეურვეო საბჭოს სხდომას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების მეშვეობით, სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოხატვის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა ისარგებლოს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალების სპეციალური ნიშნით და დააფიქსიროს გამოსვლის სურვილი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის მსვლელობისას იმ საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, რომელთან დაკავშირებით შემოსულია დასწრების/აზრის გამოხატვის მოთხოვნა და დაინტერესებული პირი ჩართულია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების მეშვეობით, კენჭისყრის გამართვამდე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), თავმჯდომარე აძლევს დაინტერესებულ პირ(-ებ)ს დღის წესრიგით გათვალისწინებულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობას იმ რიგითობით, რა თანმიმდევრობითაც ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დაფიქსირდა შესაბამისი ნიშანი;
- დღის წესრიგის, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე თითოეული საკითხის და მისი განხილვის, სხდომაზე დამსწრე დაინტერესებულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს დამსწრე დაინტერესებულ პირთაგან გამომსვლელთა რაოდენობა, ასევე თითოეული

დაინტერესებული პირის მიერ აზრის გამოხატვისთვის გათვალისწინებული დროის რეგლამენტი, რომელიც ერთ კონკრეტულ საკითხზე აზრის გამოხატვის მსურველ დამსწრე პირებისთვის ერთნაირი უნდა იყოს;

- იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილე დაინტერესებული პირის სიტყვით გამოსვლა არ შეესაბამება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ასევე დაინტერესებული პირის მიერ არაეთიკური, შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული, სიძულვილის ენის მატარებელი ან უცენზურო ლექსიკის გამოყენების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით შეზღუდოს ასეთი პირის გამოსვლის შესაძლებლობა.".

2. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-ლი პუქნტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 01 ივნისიდან.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე	ზაზა აბაშიძე
თამილა დოლიძე	ლიკა ბასილაია-შავგულიძე
სოსო სტურუა	ბონდო მძინარაშვილი
გიორგი იაკობიშვილი	იზაბელა ოსიპოვა
	ლაშა ტუღუში